მოდერნულობის თეორიები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი — 2010 წელი

მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტის სერია
„მოდერნულობის ისტორია და თეორია“

სერიის რედაქტორი: **გიგა ზედანია**

სერია იბეჭდება
კავკასიის შვეიცარული აკადემიური ქსელის
მხარდაჭერით

ტომი1: მოდერნულობის თეორიები
რედაქტორი: **გიგა ზედანია**

ISSN 1987-9407 UDC(უაკ) 7.035.93
მ-804

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

შინაარსი

გიგი თევზაძე
შესავალი სერიაში
„მოდერნულობის ისტორია და თეორია“ 5

გიგა ზედანია
მოდერნულობა: შესავალი პროგლემატიკაში 7

ზაალ ანდრონიკაშვილი
ზიგმუნტ ბაუმანის „მოდერნულობა
და ამბივალენტურობა“ 13

ეკატერინე გედევანიშვილი
ჰანს გელტინგის „მსგავსება და მყოფობა – გამოსახულების
ისტორია ხელოვნების ერამდე“ 25

ლევან გიგინეიშვილი
იოჰან ჰუიზინგას „შუა საუკუნეების შემოდგომა“ 32

ქეთევან გურჩიანი
რენე ჟირარის „ძალადობა და წმინდა“ 50

ემზარ ჯგერენაია
ენტონი გიდენსის „მოდერნულობის შედეგები“ 61

კახაბერ კურტანიძე
მაიკლ ჯილესპის
„მოდერნულობის თეოლოგიური საფუძვლები“ 82

ნოდარ ლადარია
ჯანი ჩელატის „დასავლური ფიქციები“ 100

გიორგი მაისურაძე
ერნსტ კანტოროვიჩის „მეფის ორი სხეული“ 107

მალხაზ თორია
ნორმან კოენის „მილენიუმის ძიება“ 116

სერგო რატიანი
იურგენ ჰაბერმასის
„მოდერნულობის ფილოსოფიური დისკურსი“ 127

გიგა ზედანია
ნიკლას ლუმანის
„დაკვირვებანი მოდერნულობაზე“ 142

დანართი: რენე ჟირარი
პირველი ქვა 150

გიგი თევზაძე

შესავალი სერიაში „მოდერნულობის ისტორია და თეორია“

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი იწყებს წიგნების სერიის „მოდერნულობის ისტორია და თეორია“ გამოცემას. სერიაში შევა როგორც თარგმანები, ასევე მიმოხილვითი და ანალიტიკური შინაარსის ტექსტები.

ამ სერიის ამოცანა ერთდროულად მარტივიცაა და ამბიციურიც. კონრეტულად, ის მიზნად ისახავს, რაც შეიძლება სწრაფად ამოავსოს უფსკრული, რომელიც თანამედროვე აზროვნების ტექსტურ გამოხატვებს და ქართულ ენაზე არსებული ტექსტების კორპუსს შორის არსებობს.

მე არ ვამბობ, რომ ქართულ ენაზე დაწერილი ყველა ტექსტი, როგორც თემატიკით, ასევე, მსჯელობითა და წარმოსახვით, უიმედოდ ჩამორჩება მათ „დასავლურ“ ანალოგებს. სულაც არა. ქართულ ენაზე არსებული ტექსტების კორპუსში, როგორც ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში, ასევე, მწერლობაში, პოეზიასა და ესეისტიკაში, არცთუ დიდი ძალისხმევით, შეიძლება იპოვო ნაწარმოებები, რომლებიც თანაბრად „მიჰყვებიან“ თანამედროვე აზროვნების გაკვალულ და გასაკვალავ გზებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ის, რამაც განაპირობა ეს თანაბრობა და ერთ სიმაღლეზე ყოფნა, წყაროები, რომელიც ზემოთ ნახსენებ ქართულ ტექსტებს ამ გზებზე სიარულის საშუალებას აძლევს, ქართულ ტექსტურ კორპუსში უბრალოდ არ არსებობს. ქართულ ტექსტურ სინამდვილეში ამ წყაროების კვალის მიგნება ისევ და ისევ ზემოთ ნახსენებ, თანამედროვეობის გზაზე მოსიარულე მცირე რაოდენობის ნაწარმოებებში თუ შეიძლება.

ამიტომ, მიუხედავად ამ თანამედროვე-გზაზე-მოსიარულე-თანამედროვე-გზის-გამკვალავი ტექსტების არსებობისა, ქართული აზროვნება სავალალოდ არათანამედროვეა: გარდა თავად ქართული ტექსტებისა, მის ამოსავლად და შთაგონების წყაროდ მაინც XX საუკუნის 40-იან წლებამდე წარმოშობილი ტექსტების თარგმანი რჩება. ეს არათანამედროვეობა კი ხან კომიკურად, ხან

კიდევ ტრაგიკულად გვიბრუნდება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქართული ტექსტური კორპუსი საფუძვლად უდევს ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, ანუ ჩვენს გარემოში არსებული იდეების, წარმოდგენებისა და მოქმედების წესების ფორმალურ და არაფორმალურ სისტემებს. ენტონი გიდენსის, თანამედროვე სოციოლოგიური აზროვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის, მიერ შემოღებული მეტაფორის მიხედვით, მოდერნულობა არის საზოგადოების მდგომარეობა, როდესაც მისი ინსტიტუტები უფრო მომავალში ცხოვრობენ, ვიდრე წარსულში. როგორი შინაარსიც არ უნდა ჩავდოთ სიტყვებში „მომავალი“ და „წარსული“, რატომღაც მგონია, რომ ამ სერიის წიგნების მკითხველებს შორის ძალიან ცოტა თუ მოიძებნება, ვინც სერიოზულად დაიწყებს მტკიცებას, რომ ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტების მეტაფორული განსაზღვრებაც ასევეა შესაძლებელი.

ცხადია, თანამედროვე სამყაროს მხოლოდ დაწერილი ტექსტები არ ქმნის. მაგრამ ჯერჯერობით არ არსებობს (და ალბათ ამ სამყაროში არც იარსებებს) ისეთი სოციალური ინსტიტუტი, რომლის არსებობა-დაარსება-ფუნქციონირება სიტყვებზე და სიტყვების სისტემებზე არ არის დამოკიდებული. იმ სიტყვებზე, რომლებიც, საბოლოოდ აკონსტრუირებენ იმ საგნებს/მოვლენებს, რომლებიც ჩვენ გარშემოა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ მიუხედავად ყველა იმ ნაკლისა, რომელიც „ბუნებრივად“ ახლავს ენაში ახალი სიტყვებისა და მსჯელობების შემოტანას, ქართულ სინამდვილეში წიგნების სერია „მოდერნულობის ისტორია და თეორია“ საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიმართ „უფრო მომავალში არსებობის“ მეტაფორის მორგების საფუძველს შექმნის.

გიგა ზედანია

მოდერნულობა: შესავალი პროგლემატიკაში

მას შემდეგ, რაც ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიკროსამყარო საქართველოში „ერთადერთი ჭეშმარიტი“ იდეოლოგიისგან გათავისუფლდა, ისე მოხდა, რომ, ქრონოლოგიის ლოგიკის სრული უგულებელყოფით, ის ჯერ პოსტმოდერნულობის საკითხებით დაინტერესდა და მხოლოდ ამის შემდეგ – მოდერნულობის პრობლემებით. პოსტმოდერნის ზეობა 90-იან წლებზე მოდის – ოღონდ „ზეობა“ უაღრესად პირობითი სიტყვაა, იმის გათვალისწინებით, რომ ის სულ რამდენიმე ინტელექტუალსა და მწერალს მოიცავდა. მაგრამ იმ გაუდაბურებულ სივრცეში, რომელსაც 90-იანი წლების ქართული ინტელექტუალური ცხოვრება ერქვა, პოსტმოდერნიზმით გატაცება უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. აი, მოდერნულობის გაპოპულარულება კი უშუალოდ 2003 წლის რევოლუციას უკავშირდება – საზოგადოების მოდერნიზაციის პროექტს, რომელიც ამ რევოლუციის შემდეგ გაცხადდა და რომელმაც დიდი – ისევ და ისევ ქართული მასშტაბებით – დისკუსია და კრიტიკა გამოიწვია.

ამ „ქრონო-ლოგიკური“ არევ-დარევის ერთი მიზეზი დასავლურ აკადემიაში მიმდინარე პროცესები იყო – პოსტმოდერნიზმის არნახულმა პოპულარობამ 80-იან წლებში რამდენიმე წლის დაგვიანებით მოაღწია საქართველომდე, როგორც მოდის უკანასკნელმა სიტყვამ. პოსტმოდერნის სულისკვეთებამ გარკვეულწილად შესატყვისი ჰპოვა საბჭოთა – ანუ გარკვეული ტიპის მოდერნული – საზოგადოების ნანგრევებში. რაც შეეხება მოდერნულობის კონცეპტის რეცეპციას, ეს საქართველოში საკმაოდ შეზღუდულ კონტექსტში მოხდა და ხდება; ამ კონტექსტს სოციალურ მეცნიერებებში მოდერნიზაციის თეორია ეწოდება.

მოკლედ შევეხები ჯერ პოსტმოდერნიზმის, შემდეგ – მოდერნიზაციის, ბოლოს კი – მოდერნულობის ისტორიული წარმოშობის პრობლემატიკას. მიზანს იმ საკითხების აღნიშვნა წარმოადგენს, რომლებიც წინამდებარე წიგნში ცალკეული ავტორების მაგალითზე დეტალურად არის განხილული.

პოსტმოდერნი

ტერმინი „პოსტმოდერნი“ სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ფენომენს აღნიშნავს. არაა შეუძლებელი, ყოველი მათგანი ერთი დიდი თეორიის შიგნით გაერთიანდეს, მაგრამ ეს არც აუცილებელია. ამიტომ აქვს აზრი თითოეულის მოკლედ ჩამოყალიბებას.

ლიტერატურათმცოდნეობაში, სადაც ის 1971 წელს ამერიკელმა თეორეტიკოსმა იჰაბ ჰასანმა შეიტანა, პოსტმოდერნიზმი არის ჩანაცვლება მოდერნისტული ლიტერატურის ეპისტემოლოგიური ინტერესისა ონტოლოგიური დომინანტით. ბრაიან მაკჰეილის აზრით, სწორედ ეს ორი კატეგორია – „ეპისტემოლოგიური“ და „ონტოლოგიური“ – არის ძირითადი იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან გავარჩიოთ, მაგალითად, ფოლკნერის რომანებისა და ბორხესის მოთხრობების ესთეტიკა. მოდერნისტულ ლიტერატურას აინტერესებს, როგორ შეიძლება იმ სამყაროს ცოდნა, რომელშიც ადამიანი აღმოჩნდა. პოსტმოდერნულ ლიტერატურას აინტერესებს, როგორი სამყაროები არსებობს და როგორ აიგება ისინი.

ფილოსოფიაში, სადაც ტერმინი ჟან-ფრანსუა ლიოტარმა „გადაიტანა“ 1979 წელს, პოსტმოდერნი აღნიშნავს „დიდი ნარატივების“ დასასრულს – ანუ იმის შეუძლებლობას, რომ მონახო ზოგადი მონათხრობი, რომელიც გაამართლებდა და ლეგიტიმურობას მისცემდა არსებულ პოლიტიკურსა და სოციალურ რეალობას.

ტერმინის ოპერაციონალიზაცია მოხდა ემპირიულ სოციოლოგიაშიც, სადაც პოსტმოდერნი ღირებულებათა იმ ახალი სისტემის აღმნიშვნელია, რომელიც მეორე ფასეულობით რევოლუციას წარმოადგენს ტრადიციიდან მოდერნულობაზე გადასვლის რევოლუციის შემდეგ. რონალდ ინგლჰარტი პოსტმოდერნული ღირებულებების გულისგულად მიიჩნევს ემანსიპაციას ყოველგვარი ავტორიტეტისგან, პიროვნული თავისუფლებისა და კრეატიული თვითგამოხატვის პირველად მიზნებად აღიარებას.

საერთაშორისო ურთიერთობებში პოსტმოდერნი აღნიშნავს მდგომარეობას, აღწერილს რობერტ კუპერის მიერ, როდესაც განმსაზღვრელი პრინციპები აღარაა ძალაუფლებათა ბალანსი და ერი-სახელმწიფოს სუვერენიტეტი; მათ ადგილზე – თუმცა არა მთელ მსოფლიოში, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ევროპაში – აღმოცენდა სისტემა, რომელიც აგებულია ქვეყნების მიერ ერთმანე-

თის საქმეებში ჩარევის პრაქტიკაზე, ძალის გამოუყენებლობაზე, უსაფრთხოების გამჭვირვალობის პრინციპზე დაფუძნებასა და საზღვრების მნიშვნელობის შესუსტებაზე.

თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ დღევანდელ საქართველოში პოსტმოდერნიზმი მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებული აზრით თუ არის რელევანტური – პრობლემა მოდერნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა პოსტმოდერნულ გარემოში ნამდვილად არსებობს. რაც შეეხება ყველა დანარჩენ მნიშვნელობას: პოსტმოდერნს პოპულარობით ჩვენს ლიტერატურაში, მიუხედავად რამდენიმე ექსპერიმენტისა, ნამდვილად აღემატება კრიტიკული რეალიზმი; დიდი ნარატივების დასასრულზე ადრეა ლაპარაკი ქვეყანაში, სადაც რელიგიური და ნაციონალისტური ნარატივებისა მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სჯერა; სოციოლოგიურად თუ შევხედავთ, ჯგუფი, რომელიც პოსტმოდერნული ღირებულებების მატარებელი იქნებოდა, უაღრესად მცირერიცხოვანია (თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, ამ სიმცირის ფონზე, ის არაპროპორციულად გავლენიანია საჯარო სფეროში).

ასეა თუ ისე, პოსტმოდერნის საკითხის ნებისმიერი დაყენება გულისხმობს მოდერნულობის პრობლემის – გინდა ლოგიკურ, გინდა ქრონოლოგიურ – ექსპლიკაციას. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი.

მოდერნიზაცია

ერთი შეხედვით, მოდერნიზაცია სხვა არაფერია, თუ არა პროცესი, რომელსაც მოდერნულობამდე მივყავართ. მაგრამ ყოველ კონცეპტს თავისი ისტორია აქვს – ხანდახან დასრულებულიც კი. მოდერნიზაციის კონცეპტი გასული საუკუნის 50-იან წლებში გაჩნდა.

მოდერნიზაცია ამ პერიოდში განიხილება როგორც პროცესი, რომელიც ევროპაში დაახლოებით XVIII საუკუნეში დაიწყო, რის შემდეგაც ყველა სხვა ქვეყანას გადაედო. ეს პროცესი ტრადიციულიდან მოდერნულ, თანამედროვე საზოგადოებაზე გადასვლას გულისხმობს. ტრადიციულ საზოგადოებებში დომინირებს ღირებულებები და სტრუქტურები, რომელთა ღერძია პარტიკუ-

ლარიზმი, ფუნქციონალური „გადღაბნილობა“ და მემკვიდრეობით მიღებული სტატუსი. ამის საპირისპიროდ, მოდერნიზაციის თეორიის თანახმად, მოდერნულ საზოგადოებაში დომინანტურია უნივერსალიზმი, ფუნქციალური სპეციფიკურობა და ინდივიდუალური ძალისხმევით მიღწეული სტატუსი.

მოდერნიზაციის თეორიის წარმოშობა განსაზღვრულ პოლიტიკურ კონტექსტში მოხდა – 50-იან წლებში, როდესაც აშშ-ს მთავრობა ცდილობდა, შეემცირებინა საბჭოთა კავშირის გავლენა მესამე სამყაროს ქვეყნებში. დახმარების უზარმაზარი პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად, რომლის მიზანიც ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების კაპიტალისტურსა და დემოკრატიულ გზაზე დაყენება იყო, სოციალური მეცნიერებების ექსპერტიზაც გახდა საჭირო. სწორედ ამ პროცესის შედეგად ჩნდება სოციოლოგიური, პოლიტოლოგიური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური კონცეფციები, რომლებიც ავითარებენ მოდერნიზაციის ზემოთ აღწერილ თეორიას.

ამ თეორიის დასასრული 60-იანი წლების ბოლოზე მოდის. ზოგი ახსნის თანახმად, ამ პერიოდში თეორიის კრიტიკა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურის გამო ხდებოდა; მაგრამ უფრო დამაჯერებლად გამოიყურება ის ახსნა, რომელიც მოდერნიზაციის თეორიის პოპულარობის ვარდნას მისივე გადაულახავ შინაგან წინააღმდეგობებს უკავშირებს. ერთ-ერთი ასეთი წინააღმდეგობაა *ტრანსფორმაციის, ცვლილების* ფაქტორების მხედველობის არიდან დაკარგვა. მოდერნიზაციის თეორია ხომ სწორედ სოციალური ცვლილების კონცეფცია უნდა ყოფილიყო და არა უბრალოდ ორი ტიპის, ტრადიციული და მოდერნული საზოგადოების აღწერა. თავად ეს დიქოტომიაც ტრადიციულსა და მოდერნულს შორის კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მას შემდეგ, რაც მეტი ყურადღება მიაქციეს ე. წ. „ტრადიციული საზოგადოების“ ნიშნებს განვითარებული დასავლეთის ქვეყნებში.

ეს ისტორია საინტერესოა, რადგან დღეს საქართველოში მოდერნიზაციის კონცეპტის უკან სწორედ ეს 50-იან წლებში წარმოშობილი და 60-იან წლებში „გადალახული“ თეორია იმალება. იმისათვის, რომ საკუთარი რეალობის ადეკვატური აღწერა შევძლოთ, უნდა ვაცნობიერებდეთ იმ კონცეპტების ისტორიულობას, რომელთა საშუალებითაც ვაპირებთ მუშაობას.

შუა საუკუნეები და მოდერნულობის დაბადება

90-იანი წლების საქართველოში გაჩნდა იმდროინდელი რეალობის, როგორც ახალი შუა საუკუნეების, აღწერა (აღწერა გიგი თევზაძეს ეკუთვნოდა). წმინდა ისტორიულადაც უაღრესად საინტერესო უნდა ყოფილიყო ქართული შუა საუკუნეების ანალიზი იმ მიზნით, რათა განხილული ყოფილიყო მისი გავლენა საქართველოში მოდერნულობის სპეციფიკაზე. ეს სამუშაო, სამწუხაროდ, ქართული მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ არაა შესრულებული. რაც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში განხორციელდა, ესაა „ტრადიციების გამოგონება“ ახალი პრაქტიკების პროეცირებით შუა საუკუნეებში. ამიტომ ჯერ არ გვაქვს დამაჯერებელი კვლევები იმის შესახებ, თუ როგორი იყო საერო და სასულიერო ძალაუფლებების მიმართება შუა საუკუნეების საქართველოში და პოლიტიკური თეოლოგიის რა ტიპოლოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე; ჯერ კიდევ შორს ვართ ქართულ კულტურაზე ბიზანტიური, ირანული და ოსმალთა ცივილიზაციების გავლენის ადეკვატური ანალიზისგან; სრულად არ ვიცით, როგორ ხდებოდა მოდერნული სემანტიკის დამკვიდრება XVIII და XIX საუკუნეების საქართველოში. ასეთი შეუსწავლელი საკითხების ჩამონათვალი შეიძლება საგრძნობლად გავზარდოთ.

ეს არცოდნა მით უფრო თვალშისაცემია, რამდენადაც დასავლეთ ევროპული შუა საუკუნეებიდან მოდერნულობაზე გადასვლა მრავალი განსხვავებული პერსპექტივიდან არის შესწავლილი. დაწყებული სუბიექტურობის ფილოსოფიის საწყისების შუა საუკუნეების სქოლასტიკასა და მისტიკაში აღმოჩენით და დამთავრებული შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნემდე ყოველდღიურობის სტრუქტურების უწყვეტობის დემონსტრირებით – შუა საუკუნეებისა და მოდერნულობის მიმართება დასავლური მეცნიერების ფოკუსში რჩება. მხოლოდ უკვე არსებული მიღწევების ათვისებით იქნება შესაძლებელი ქართული მასალის გადააზრება იმავე მიმართულებებით.

* * *

წინამდებარე წიგნში მოდერნულობის პრობლემა სამივე ზემოთ აღწერილი ასპექტითაა გაანალიზებული. აქ თავმოყრილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტის პროფესორთა მიერ დაწერილი სტატიები, რომელთა ერთი ნაწილი მოდერნულობის თეორიებს ეძღვნება, ხოლო მეორე – იმის ისტორიას, თუ როგორ ისახება მოდერნულობა შუა საუკუნეებში. ფოკუსი ცალკეულ წიგნებზე, ჩვენი აზრით, გამართლებულია მეთოდოლოგიურადაც და დიდაქტიკურადაც: ჯერ ერთი, თითქმის ყველა შერჩეული წიგნი ან კლასიკური ნაშრომის სტატუსით სარგებლობს, ანდა – უაღრესად გავლენიანია, *როგორც წიგნი* (და არა როგორც მისი ავტორის თეორიის ერთი პროდუქტი). მეორეც, წიგნის ლოგიკის გაცნობა შესავლისათვის ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე მთლიანად თეორიის ლოგიკისა, რომელიც, უმეტესწილად, ბევრად უფრო კომპლექსური და ჩახლართულია. წიგნს ერთვის ერთ-ერთი განხილული ავტორის, რენე ჟირარის სტატიის თარგმანი. სტატიის შინაარსი, მართალია, პირდაპირ არ უკავშირდება მოდერნულობის თემატიკას, მაგრამ ის აღწერს ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას, რომლის გარეშეც მოდერნულობის გააზრება შეუძლებელი იქნებოდა.